არჩევნები ეთნიკური უმცირესობების რეგიონებში

ძირითადი ტენდენციების და პრაქტიკების ანალიზი

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

არჩევნები ეთნიკური უმცირესობების რეგიონებში

ძირითადი ტენდენციების და პრაქტიკების ანალიზი

2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები საქართველოში პანდემიის, საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით მიღწეული შეთანხმებებისა და პოლიტიკური კრიზისის ფონზე ჩატარდა. საარჩევნო დღესა და პოლიტიკურ პროცესებზე გავლენა ქვეყნის მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის საქართველოში დაბრუნებამ და მისი დაპატიმრების ფაქტმაც იქონია. 19 აპრილის შეთანხმების შედეგად დაწესებული 43%-იანი ბარიერი სახელისუფლებო პარტიამ, „ქართულმა ოცნებამ“, ცესკოს პირველადი მონაცემების მიხედვით, 46.6%-ით გადალახა. თუმცა, თითქმის ყველა დიდ ქალაქში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი და ზუგდიდი) სახელისუფლებო პარტიამ 43%-ს ვერ მიაღწია. ამასთანავე, ქართულმა ოცნებამ ყველაზე მაღალი შედეგები უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში აჩვენა.

სახელისუფლებო პარტიის მიერ უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მაღალი საარჩევნო შედეგების მიღწევა „ქართული ოცნების“ ექსკლუზიური მონაპოვარი არ არის. მსგავსი მანკიერი პრაქტიკა თითქმის ყველა წინა ხელისუფლებისთვის იყო დამახასიათებელი. თუმცა, ეს, ხშირად, არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების დაბალი პოლიტიკური კულტურით, საჯარო ცხოვრებაში მათი სუსტი ჩართულობით და სახელმწიფო ენის არცოდნითაც კი აიხსნებოდა. ეს დოკუმენტი არის მცდელობა, დავინახოთ ის ძირითადი გამოწვევები, პრობლემური მიდგომები და „განსხვავებული“ გარემო, რომელშიც არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელ საქართველოს მოქალაქეებს უწევთ არჩევანის გაკეთება.

დოკუმენტი სოციალური სამართლიანობის ცენტრის თანამშრომლებმა, წინასაარჩევნო პერიოდსა და არჩევნების დღეს, ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში საარჩევნო პროცესებზე დაკვირვების საფუძველზე მოამზადეს.

წინასაარჩევნო პერიოდი

პოლიტიკური პარტიების პროგრამების ანალიზი[1], რომელიც სოციალური სამართლიანობის ცენტრმა მოამზადა, გვიჩვენებს, რომ პარტიების პროგრამები და პლატფორმები არ იყო ორიენტირებული ადგილობრივი მოსახლეობის წუხილებზე, გამოწვევებსა და საჭიროებებზე. ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში წინასაარჩევნო პერიოდის შეფასებისას, არ უნდა დაგვავიწყდეს ადგილობრივ პოლიტიკურ ელიტასა (როგორც პოლიტიკური პარტიები, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობა) და მოსახლეობას შორის არსებული ხიდჩატეხილობა და კლანური მმართველობა, რომელიც, ხშირად, ეთნიკურ ჯგუფებში ზრდის უნდობლობასა და პოლიტიკური პროცესების მიმართ ნიჰილიზმს. ამ პრობლემის გადაჭრის მცდელობა, პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების მხრიდან, წლებია, არ შეიმჩნევა. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ, ხშირად, ამ რეალობას, ადგილობრივი პოლიტიკური ელიტა ხელს უწყობს და აღრმავებს საკუთარი გადაწყვეტილებებით, აქცენტებითა და რიტორიკით. ერთი მხრივ, არც სახელისუფლებო პარტიის მერობის კანდიდატები იყვნენ ღია საჯარო სივრცეებში დებატებისა და კრიტიკული კითხვებისთვის, მეორე მხრივ კი, ოპოზიციური პარტიების

[1]პარტიების წინასაარჩევნო პროგრამების ანალიზი ეთნიკური უმცირესობების საჭიროებების პერსპექტივიდან https://socialjustice.org.ge/ka/products/partiebis-tsinasaarchevno-programebis-analizi-etnikuri-umtsiresobebis-sachiroebebis-perspektividan

კანდიდატები ე.წ. რეფერენდუმზე აპელირებდნენ და ადგილობრივ საჭიროებებს ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. წინასაარჩევნო პერიოდში, ოპოზიციური პარტიების სიის წევრები და მაჟორიტარული ოლქების კანდიდატები, სხვადასხვა მიზეზით, არჩევნებში მონაწილეობაზე უარს აცხადებდნენ. თავის მხრივ, ორივე რეგიონში, პარტიული სიებისა და მაჟორიტარული კანდიდატების შესახებ გადაწყვეტილებები, მოსახლეობის ჩართულობის გარეშე, ერთპიროვნულად ან ადამიანთა მცირე ჯგუფის მიერ მიიღებოდა.

წინასაარჩევნო პერიოდში ქვემო ქართლში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე მსჯელობისას, ოთხი სიმპტომატური მოვლენა უნდა გამოიყოს. პირველი, მარნეულში (და შემდგომ ბოლნისშიც) ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ცენტრალურ ოფისსა და ადგილობრივ ლიდერებს შორის დაწყებული დაპირისპირებაა, რომლის შემდეგაც, მარნეულში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა, აზერ სულეიმანოვმა, პარტია დატოვა. ხოლო, ადგილობრივმა ლიდერებმა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს და საკუთარ პარტიას მხარი არ დაუჭირეს. ამ დაპირისპირების ერთ-ერთ მიზეზად აიაზ მამედოვის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის რიგებში გადასვლა და მისი კანდიდატურის მარნეულის მერად განხილვა სახელდებოდა.[2] თავის მხრივ, ბოლნისში, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ცენტრალურ ოფისსა და ადგილობრივ ლიდერებს შორის დაპირისპირების მიზეზად პარტიული სიის შედგენის არაინკლუზიურ პროცესზე უთითებდნენ.

მეორე, გარდაბანში ადგილობრივი ბიზნესმენის ოჯახის წევრის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის დაწყება და ამ მიზნით, მის ოჯახში ჩხრეკის ჩატარებაა. ამ მოვლენას ბიზნესმენი სოციალურ ქსელებში კრიტიკულ და აქტიურ პოზიციონირებას უკავშირებდა. აღსანიშნავია, რომ ბიზნესმენმა ამ საკითხზე ადგილობრივ მედიებთან პრესკონფერენციაც გამართა და სხვადასხვა აქტივისტებს თავისი და ოჯახის წევრების მხარდაჭერა სთხოვა.

მესამე, და ალბათ ყველაზე ხმაურიანი მოვლენა, დმანისის სოფელ განთიადში მომხდარი ფიზიკური დაპირისპირება იყო, როცა წინასაარჩევნო შეხვედრის ჩატარების დროს, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ორი მხარდამჭერი სახელისუფლებო პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატის შვილმა ცივი იარაღით დაჭრა.[3] ამ დაპირისპირებამ დმანისის მუნიციპალიტეტში წინასაარჩევნო აქტივიზმი და მუშაობა მნიშვნელოვნად დააზიანა და ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებები და გამოწვევები ისევ მეორე პლანზე გადაწია.

მეოთხე სიმპტომატური ტენდენცია ის გახლავთ, რომ სამცხე ჯავახეთში წინასაარჩევნო პროცესები პასიური და სუსტი იყო. ამ პერიოდში, ნინოწმინდასა და ახალქალაქში, დაშინების, ზეწოლისა და მუქარის შემთხვევები გამოვლინდა. ოპოზიციური პარტიები ხშირად საუბრობდნენ მათ კანდიდატებზე ზეწოლის ფაქტებზე, რის გამოც პარტიაში გაწევრიანებული პირები ორგანიზაციას ტოვებდნენ. წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იყო ამომრჩეველთა სავარაუდო მოსყიდვა. კამპანიაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი არაუფლებამოსილი პირები. სააგიტაციო შეხვედრებს, სამუშაო საათების განმავლობაში, ესწრებოდნენ ადგილობრივი საჯარო მოხელეები, ა(ა)იპების თანამშრომლები, საუბნო

[2] პრესკონფერენცია ორგანიზებული ენმ-ის მიერ, 2021 წლის 30 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=wnv5lV-N2Ns

[3] რადიო თავისუფლების სტატია, 2021 წლის 22 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31472254.html

საარჩევნო კომისიის წევრები.[4] გამოვლინდა საჯარო სკოლების დირექტორების და მასწავლებლების მონაწილეობაც, მმართველი პარტიის სასარგებლოდ. საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების პროცესი მეტწილად ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

არჩევნების დღე

არჩევნების დღეს ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში სოციალური სამართლიანობის ცენტრი მარნეულის, გარდაბნის, ბოლნისის, დმანისის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში მუშაობდა. ქვემო ქართლში ძირითად პოლიტიკურ აქტორად „ქართული ოცნება“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გვევლინებოდა, ხოლო სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტებში - „ქართული ოცნება“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპული საქართველო“ და „გახარია საქართველოსთვის“. ორივე რეგიონში „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატებმა პირველივე ტურში მოიპოვეს გამარჯვება. ქვემო ქართლის ზემოთ ხსენებულ მუნიციპალიტეტებში ვერცერთმა სხვა პოლიტიკურმა პარტიამ 3%-იანი ბარიერი ვერ გადალახა, გარდა დმანისში პოლიტიკური პარტიისა „პროგრესი და თავისუფლება“, რომელმაც ერთი საკრებულოს წევრი გაიყვანა. ახალქალაქში „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ გარდა ბარიერი „ევროპულმა საქართველომ“ და „ლელომ“ გადალახეს. ხოლო, ნინოწმინდაში - „გახარიას პარტიამ“ და „ევროპულმა საქართველომ“. თითოეულ მუნიციპალიტეტში არჩევნების პირველადი შედეგების მიხედვით, საკრებულოს წევრების ეთნიკური მაჩვენებელი ასე გამოიყურება:

მარნეულის საკრებულო: 21 არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელი და 12 დომინანტი ჯგუფის წარმომადგენელი. (უმცირესობების მონაწილეობა გაიზარდა 4 წარმომადგენლით).

ბოლნისის საკრებულო: 15 არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელი და 21 დომინანტი ჯგუფის წარმომადგენელი. (უმცირესობების მონაწილეობა გაიზარდა 2 წარმომადგენლით).

დმანისის საკრებულოში: 9 არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელი და 21 დომინანტი ჯგუფის წარმომადგენელი. (უმცირესობების მონაწილეობა შემცირდა 2 წარმომადგენლით).

გარდაბნის საკრებულოში: 14 არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელი და 22 დომინანტი ჯგუფის წარმომადგენელი (უმცირესობების მონაწილეობა შემცირდა 1 წარმომადგენლით).

---

[4] 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ოფიციალური წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის II შუალედური ანგარიში, ხელმისაწვდომია: https://drive.google.com/file/d/1RfWnCJ3_vklWBsW9IOyIZGgYclT4LUSW/view?fbclid=IwAR1e02TQqFA9V1MQTViY7WWoS0KhgBIWDj6tULGkd4-JmD9wSDhr6Qw0BXQ

ახალქალაქის საკრებულოში: 35 არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელი და 7 დომინანტი ჯგუფის წარმომადგენელი. (უმცირესობების მონაწილეობა გაიზარდა 4 წარმომადგენლით).

ნინოწმინდის საკრებულოში: 30 არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელი და 0 დომინანტი ჯგუფის წარმომადგენელი (უმცირესობების მონაწილეობა გაიზარდა 5 წარმომადგენლით).[5]

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების რეპრეზენტაცია როგორც ქვემო ქართლის, ისე სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივ არჩევით ორგანოებში, მცირედით გაიზარდა. უფრო კონკრეტულად კი, თვალშისაცემი ზრდა შეინიშნებოდა ახალქალაქის და მარნეულის მუნიციპალიტეტებში. ხოლო ბოლნისის და დმანისის მუნიციპალიტეტების საკრებულოებში უმცირესობების მონაწილეობა, პირიქით, შემცირდა. აქვე უნდა ითქვას, რომ ახალქალაქში უმცირესობების რაოდენობის ზრდა გამოწვეული იყო, საკრებულოს წევრების ერთიანი რაოდენობის 38-დან 42-მდე ზრდით, ხოლო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში უმცირესობების რაოდენობის ზრდის ერთ-ერთ მიზეზი, ჩვენი აზრით, შესაძლოა, ადგილობრივი აქტივისტებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების აქტიური მუშაობა და კრიტიკა ყოფილიყო. ამასთანავე, საკრებულოებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების რეპრეზენტაციაც გაიზარდა და თუ 2017 წლის მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არცერთი უმცირესობების წარმომადგენელი ქალი არ ყოფილა, 2021 წლის არჩევნების შემდეგ, მარნეულის საკრებულოში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი 5 ქალი იქნება.

როგორც ქვემო ქართლში, ისე სამცხე-ჯავახეთში, არჩევნების დღისთვის დამახასიათებელი იყო შემდეგი პრაქტიკები: (1) ძალადობის შემთხვევები არჩევნების დღეს; (2) საარჩევნო უბნებში არა ადგილობრივი „დამკვირვებლების“ ჩრდილოვანი მმართველობა; (3) საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების თვალშისაცემი ძალაუფლება; (4) საარჩევნო უბნებთან ახლოს ხელისუფლების მხარდამჭერების მობილიზაცია; (5) ნინოწმინდასა და ახალქალაქში არჩევნებმა განსაკუთრებულად „მშვიდად“ ჩაიარა; (6) ზოგიერთ უბანზე სუს-ის და პოლიციის ჭარბი ხილვადობა. (7) პოლიტიკური პარტიების მიერ ამომრჩევლების ინსტრუმენტალიზება და გასაგნება; (8) ნინოწმინდის ორ მაჟორიტარულ ოლქში კანდიდატი მხოლოდ „ქართულ ოცნებას“ ჰყავდა და (9) მიუხედავად ყველაფრისა, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ოპოზიციის მხარდაჭერის გაზრდა.

(1) **ძალადობის შემთხვევები არჩევნების დღეს:** 2 ოქტომბრის არჩევნებზე ქვემო ქართლი, კერძოდ კი, მარნეულის მუნიციპალიტეტი, ერთადერთი ადგილი იყო, სადაც ძალადობისა და დაპირისპირებების შესახებ ინფორმაცია ეროვნული და ადგილობრივი მედიების საშუალებით გავრცელდა. მარნეულის სოფელ ყიზილაჯილოში დაპირისპირების შესახებ, რომლის მიზეზიც, ოპოზიციის განმარტებით, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი მოქალაქის მიერ რამდენჯერმე ხმის მიცემის მცდელობა იყო. ასევე, მარნეულის 52-ე საარჩევნო უბანზე „ლეიბორისტული პარტიის“ წევრის დაჭრის

[5] ეს არის სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ დათვლილი მონაცემები და, შესაძლოა, სრულად არ ასახავდეს ცესკოს საბოლოო შედეგებს.

ფაქტიც გამოვლინდა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიხედვით, საქართველოს მასშტაბით ყველაზე მეტი პრობლემა მარნეულში გამოიკვეთა.[6]

(2) **საარჩევნო უბნებში არა ადგილობრივი „დამკვირვებლების“ არაფორმალური მმართველობა:** ჩვენი მუშაობის დროს, არაერთხელ შევნიშნეთ, რომ საარჩევნო უბანში მიმდინარე პროცესები უმთავრესად არა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ, არამედ არა ადგილობრივი დამკვირვებლის ან კომისიის წევრის მიერ იმართებოდა. ხშირი იყო შემთხვევები, როცა კონკრეტული დარღვევის ან შეცდომის გამოსწორება ამ პირის მითითების შემდეგ ხდებოდა. კომისიის თავმჯდომარე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებამდე მიმართავდა ან ეკითხებოდა ამ პირს, რომლის პასუხის შესაბამისად განაგრძობდა ან ცვლიდა ქმედებას. ამგვარი არაფორმალური მმართველობის შესახებ, ხშირად, ინფორმირებული იყო კომისიის ყველა წევრი და ნებისმიერი საკითხის გადასაწყვეტად ისინი კომისიის თავმჯდომარის ნაცვლად, ამ პირს მიმართავდნენ.

(3) **საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების თვალშისაცემი ძალაუფლება:** საუბნო საარჩევნო კომისიების აბსოლუტური უმრავლესობა ადგილობრივი მასწავლებლებით არის დაკომპლექტებული, რომლებიც ადგილზე ავტორიტეტით და ძალაუფლებით გამოირჩევიან. ხშირი იყო შემთხვევები, როცა კომისიის წევრები უბანზე მოსულ ამომრჩეველს პირდაპირ მიანიშნებდნენ კონკრეტული პარტიის მხარდაჭერაზე. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა უბანზე კომისიის წევრები ჩვენთან საუბარში აღნიშნავდნენ, რომ ისინი კარგად ხედავენ საკუთარ ძალას და ნებისმიერი პოლიტიკური გუნდის ხელმძღვანელობა ვალდებულია, რომ მათი ძალაუფლება აღიაროს. მათ მიაჩნიათ, რომ აქვთ რესურსი არჩევნების შედეგებზე გავლენის მოსახდენად, საარჩევნო უბნის შიგნით. შედეგად, მათი როლი რომელიმე პოლიტიკური გუნდის გამარჯვებაში გადამწყვეტია. კომისიის წევრების ძალაუფლება ვლინდებოდა დათვლის პროცესშიც, როცა ბიულეტენების ბათილობას კომისია ერთიანი სტანდარტის გარეშე სუბიექტურად იღებდა. აღსანიშნავია, რომ ბათილი ბიულეტენების მნიშვნელოვანი ნაწილი ხელმოუწერელი ან/და უბეჭდო იყო, და ჩვენი დაკვირვებით, ეს მხოლოდ ოპოზიციის მხარდამჭერ ბიულეტენებს ეხებოდა. აღსანიშნავია გარდაბნის მუნიციპალიტეტის რამდენიმე საარჩევნო უბანი, სადაც დამკვირვებლების ნაწილის „ბეიჯები“გაყალბებული იყო და არაუფლებამოსილი პირები იმყოფებოდნენ საარჩევნო უბანზე.

(4) **საარჩევნო უბნებთან ხელისუფლების მხარდამჭერების მობილიზაცია:** საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით მიღწეული შეთანხმების და საარჩევნო რეფორმების შედეგად, არჩევნებთან დაკავშირებით მრავალი ახალი რეგულაცია და შეზღუდვა დაწესდა, მათ შორის, საარჩევნო უბნებთან 100 მეტრის რადიუსში შეკრებების აკრძალვის შესახებ. თუმცა, ჩვენი დაკვირვებით, ეს რეგულაცია ქვემო ქართლის რეგიონში სრულად არ მუშაობდა. თითქმის ყველა უბანში, საარჩევნო უბნის გარეთ სახელისუფლებო პარტიის მხარდამჭერები გავლენას ახდენდნენ ამომრჩევლის ნებაზე, სხვა დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებსაც უთქვამთ ჩვენთვის, რომ „ყველაფერი ხდება საარჩევნო უბნის გარეთ, სანამ ამომრჩეველი შემოვა უბანზე“. აღსანიშნავია, რომ საარჩევნო უბანთან მსგავსი თავშეყრის და შეკრების დასაშლელად,

[6] რადიო მარნეულის სტატია, 2021 წლის 6 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.marneulifm.ge/ka/siakhleebi/article/48658-archevnebze-saqarthvelos-masshtabith-yvelaze-meti-problema-marneulshi-iyo-saerthashoriso-gamtcvirvaloba-saqarthvelo-

ადგილობრივი პოლიცია რამდენიმე უბანზე აქტიურად მუშაობდა. გარდაბნის და მარნეულის მუნიციპალიტეტების სხვადასხვა საარჩევნო უბანზე პოლიცია ადგილობრივ მცხოვრებლებს საარჩევნო უბნის ტერიტორიის დატოვებისკენაც მოუწოდებდა, მაგრამ „ქართული ოცნების“ ადგილობრივი წარმომადგენელები და მხარდაჭერები ხშირად უარს აცხადებდნენ ტერიტორიის დატოვებაზე. გარდაბანში ჩვენი თანამშრომლები შეესწრნენ ფაქტს, როცა ერთ-ერთ უბანთან პოლიციის დაშლისკენ მოწოდების შემდეგ, ამ უბანზე მაჟორიტარობის კანდიდატად რეგისტრირებულმა „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა არსებული სიტუაციისა და პოლიციის მოთხოვნის შესახებ, ტელეფონით ჩვენთვის უცნობ პირს აცნობა, რის შემდეგაც პოლიციელმა უბანთან ახლოს შეკრებილი მოქალაქეების დაშლა შეწყვიტა. ნინოწმინდაში შევესწარით ფაქტს, როცა ერთ-ერთ უბანში საუბნო კომისიის თავმჯდომარე აგიტატორებს სიებში ამომრჩეველთა მოძებნისკენ მოუწოდებდა. როდესაც გავაფრთხილეთ, აგიტატორებმა დატოვეს უბანი. თუმცა, ამ ყველაფერით უკმაყოფილო საუბნო საარჩევნო კომისიის თავჯდომარე საჯაროდ აცხადებდა, - „სად არიან აგიტატორები, რატომ არ ეხმარებიან ხალხს სიებში საკუთარი თავის მოძებნაში, რატომ გადავუხადეთ ამათ ამდენი ფული, იმისთვის, რომ უსაქმურად იყვნენ?“[7]

(5) **ნინოწმინდასა და ახალქალაქში არჩევნებმა განსაკუთრებულად „მშვიდად“ ჩაიარა:** ჩვენი აზრით, ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში არჩევნების მშვიდ გარემოში ჩატარების მიზეზი რეგიონში არსებული არაკონკურენტული პოლიტიკური გარემო იყო. ჩვენი დაკვირვებით, თითქმის ყველა ოპოზიციური პარტიის ადგილობრივი წარმომადგენლობა გამოირჩეოდა წარმოსახვითი და არაგულწრფელი მუშაობით. ხშირად, რჩებოდა განცდა, რომ ადგილობრივი ოპოზიცია (მათ შორის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) შეკრული იყო სახელისუფლებო გუნდის წევრებთან და სინამდვილეში ადგილზე ალტერნატიულ პოლიტიკურ პერსპექტივას და გამოცდილებას არ ქმნიდა. რაც გვაფიქრებინებს, რომ არც ახალქალაქში და არც ნინოწმინდაში ჯანსაღ საარჩევნო პროცესს ადგილი არ ჰქონია. ხოლო ალტერნატივის შექმნის მცდელობები (ძირითადად, გახარიას პარტიის მუშაობა) არჩევნებამდე იყო შეჩერებული კანდიდატებზე ზეწოლით თუ მათი დაშინებით.

(6) **ზოგიერთ უბანზე სუს-ის და პოლიციის ჭარბი ხილვადობა:** მართალია, საარჩევნო უბანთან ძალადობისა, თუ სახელისუფლებო პარტიის ადგილობრივი ლიდერების მობილიზაციის ფაქტებს პოლიცია ხშირად სრულფასოვნად ვერ აკონტროლებდა, არჩევნების დღეს სუს-ის და პოლიციის ძალაუფლება და ყოფნა თითქმის ყოველ საარჩევნო უბანთან, მკვეთრად საგრძნობი იყო. უსაფრთხოების სამსახურების განსაკუთრებული მობილიზაცია დმანისის და მარნეულის მუნიციპალიტეტებში იგრძნობოდა. დმანისში, სავარაუდოდ, სუს-ის მანქანები (დაბურული მინებით) მთელი დღის განმავლობაში გაუჩერებლად მოძრაობდნენ ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფლებსა და საარჩევნო უბნებს შორის, რაც ამ სოფლების ყოველდღიური ყოფისთვის უჩვეულოა. ხოლო, მარნეულში არჩევნების დასრულების შემდეგ, თითქმის ყველა უბანში, სადაც ჩვენ ვიყავით, ძალოვანი სტრუქტურების მანქანები (არა საპატრულო მანქანა) ციმციმებ ანთებულები იდგა საარჩევნო უბნებთან. ჩვენი დაკვირვებით, ამ კუთხით, გამონაკლისი იყო ბოლნისის მუნიციპალიტეტი. თუმცა,

[7] Jnews-ის მასალა, 2021 წლის 2 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://ka.jnews.ge/?p=18857&fbclid=IwAR2I2B5HVNAR1zMvkzjkmlqIWakZaRYMQFmex1V1oBf39l62m4fGJOZKVEE

ამ გამოცდილებას სხვა მიზეზი აქვს და ის დაბალი პოლიტიკური კონკურენციით უნდა აიხსნას.

(7) **პოლიტიკური პარტიების მიერ ამომრჩევლების ინსტრუმენტალიზება და გასაგნება:** ქვემო ქართლში პოლიტიკური პარტიების, როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის მიერ ამომრჩევლების გასაგნება და ინსტრუმენტალიზება, ყოველდღიური ყოფის ნაწილია. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მმართველი პარტიის ადგილობრივი წარმომადგენლების, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისა და ადგილობრივი ავტორიტეტების პრობლემური ნარატივი, რომლის მიზანიც არჩევნებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულებების გაძლიერება იყო. ხშირი იყო მოსაზრებები, - „ჩვენ ისედაც ვერაფერს ვერ შევცვლით“, „ჩვენ არავინ არ გვეკითხება“ და ა.შ. სამწუხაროა, რომ ასეთი დამოკიდებულებების არსებობას, ხშირად, მეინსტრიმული ნარატივი მოქალაქეების სუსტ ჩართულობას მიაწერს, თუმცა, დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ამგვარ განწყობებს, ხშირად, თავად ხელისუფლების მხარდამჭერები აღვივებენ. მეორე მხრივ, აღსანიშნავია, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პრობლემური მუშაობა ქვემო ქართლში, რაც ადგილობრივი ლიდერების ობიექტივიზაციასა და მათი აზრის გაუთვალისწინებლობაში გამოიხატებოდა. შედეგად, არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, მარნეულსა და ბოლნისში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ადგილობრივმა გუნდმა უარი განაცხადა არჩევნებში მონაწილეობაზე, რამაც მარნეულსა და ბოლნისში ოპოზიციის შედეგები მინიმუმამდე დაიყვანა. თავის მხრივ, დმანისის მუნიციპალიტეტში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაღალი შედეგები კი, უფრო ადგილობრივი ეკონომიკური კლანის ოპოზიციასთან თანამშრომლობით აიხსნება.

(8) **ნინოწმინდის ორ მაჟორიტარულ ოლქში კანდიდატი მხოლოდ „ქართულ ოცნებას“ ჰყავდა:** ეშტიისა (ეშტია, ყაურმა, თორია, უჩმანა) და განძის (განძა, საღამო) მაჟორიტარულ ოლქებში ოპოზიციურ პარტიებს მაჟორიტარობის კანდიდატი არ ჰყოლიათ წარმოდგენილი და „ქართული ოცნების“ კანდიდატი უკონკურენტოდ მონაწილეობდა არჩევნებში. აღსანიშნავია, რომ ეშტიის მაჟორიტარულ ოლქში, პარტიას, „გახარია საქართველოსთვის“ წარმოდგენილი ჰყავდა კანდიდატი. თუმცა, არჩევნებამდე კანდიდატის, ოვანეს ოვსეპიანის, ცოლმა, გაიანე ოვსეპიანმა, პარტიას აცნობა, რომ თუკი მისი მეუღლე მონაწილეობას მიიღებდა არჩევნებში, მას სკოლაში საათებს არ მისცემდნენ და მისი ოჯახის წევრებს პრობლემებს შეუქმნიდნენ. მსგავსი სირთულეები იყო პარტიული სიების ფორმირების დროსაც.

(9) **მიუხედავად ყველაფრისა, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ოპოზიციის მხარდაჭერა გაიზარდა:** 2021 წლისა და 2017 წლების ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების შედარება გვიჩვენებს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი გამოწვევების მიუხედავად, ეთნიკურ უმცირესობებს შორის ოპოზიციის მხარდაჭერა მაინც გაიზარდა. კერძოდ, 2017 წელთან შედარებით, მარნეულში, გარდაბანში, ბოლნისსა და დმანისში ოპოზიციამ, შესაბამისად, 4.72%-ით, 14.13%-ით, 12.54%-ით და 26.3%-ით მეტი ხმა აიღო. თუმცა, ახალქალაქსა და ნინოწმინდაში ოპოზიციის მხარდაჭერა, შესაბამისად, 15%-ით და 4.34%-ით შემცირდა.

საერთო ტენდენციების მიუხედავად, ჩვენი დაკვირვებით, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში პოლიტიკური პროცესები და ამომრჩეველთა ქცევა ერთნაირი არ ყოფილა. ქვემო ქართლში, მიუხედავად არსებული დაძაბული ყოფისა, პოლიტიკური პროცესები უფრო დინამიკური და დივერსიფიცირებულია. ამ რეგიონში ოპოზიციას შედარებით მეტი და ხანგრძლივი წარმომადგენლობა და მხარდაჭერა აქვს. მეორე მხრივ, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში

პოლიტიკური პროცესები სუსტია და პასიური. ამასთანავე, სამცხე-ჯავახეთი ქვემო ქართლთან შედარებით, სამოქალაქო აქტივიზმის კუთხით ძალიან სუსტია და ჯავახეთში ადგილობრივი აქტივისტური ჯგუფები, თვითორგანიზების პრაქტიკები და სათემო ლიდერები ძირითადად უხილავები რჩებიან.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელი ამომრჩევლების დანარჩენი საქართველოსგან განსხვავებული საარჩევნო ქცევა სხვადასხვა ფაქტორით აიხსნება, ამ ფაქტორების სიღრმისეულ შესწავლას კი, ალბათ, უფრო დეტალური და გრძელვადიანი დაკვირვება დასჭირდება. თუმცა, არჩევნებამდე და არჩევნების დღეს გამოვლენილი ძალადობის, დაშინებისა და ზეწოლის შემთხვევებზე, კომისიის წევრების მუშაობაზე, სუს-ის და პოლიციის ჭარბ ხილვადობასა და პოლიტიკური პარტიების მიერ ამომრჩევლების და ადგილობრივი ლიდერების ინსტრუმენტალიზებაზე დაკვირვებები ცხადყოფს, რომ ქვემო ქართლშსადა სამცხე-ჯავახეთში სახელისუფლებო პარტიის შედარებით მაღალი მაჩვენებლები დიდი ხნის განმავლობაში ჩამოყალიბებული სისტემური გამოწვევების და ეთნიკური უმცირესობების სისტემური გარიყულობის შედეგია, და ამ რეალობას პოლიტიკურ და სოციალურ ცვლილებებზე მიმართული ხანგრძლივი მუშაობა და პოლიტიკური შეთანხმებები სჭირდება.

მნიშვნელოვანია, რომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში დემოკრატიული მონაწილეობის და ჩართულობის რეალური პირობები შეიქმნას და მმართველმა პოლიტიკურმა პარტიებმა უარი თქვან ამ რეგიონების და ხალხის პოლიტიკურ ინსტრუმენტალიზებაზე, რაც ამ რეგიონების პერიფერიზაციის, ჩამორჩენისა და კონტროლის ერთ-ერთი ცენტრალური პოლიტიკური მიზეზი რჩება. ამასთანავე, ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია, პოლიტიკური პარტიების მუშაობა ამ რეგიონებში ელექტორალური ინტერესიდან ტრანსფორმაციულ ინტერესზე დაფუძნებაზე გადავიდეს და მათ გააცნობიერონ ინტეგრაციისა და სოციალური ცვლილებებისთვის ადგილზე უფრო სერიოზული და ყოველდღიური პოლიტიკური მუშაობის მნიშვნელობა.